ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2019 წლის 18 ოქტომბრის სხდომის

დღის წესრიგი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 04 ნოემბრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

სხდომის თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2019 წლის 18 ოქტომბრის სხდომის

ო ქ მ ი № 27

დ. ხარაგაული

9 აპრილის ქ. #15

18 ოქტომბერი 2019 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა - მანანა ბარბაქაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

ვარლამ ჭიპაშვილი -საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე,

ოთარ ლურსმანაშვილი - საკრებულოს იურიდიული, -, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე,

დავით კიკნაძე -განათლების, კულტურისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის თავმჯდომარე

მალხაზ ფხალაძე - საკრებულოს ეკონომიკის ,ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გივი თხელიძე საკრებულოს ჯანდაცვისა - სოციალური საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

იუზა კელენჯერიძე - ფრაქცია „ქართული ოცნება - მრეწველები“ -ს თავმჯდომარე,

აკაკი ლურსმანაშვილი - ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეები“ -ს თავმჯდომარე,

გივი თავზარაშვილი - ფრაქცია „ქართული ოცნება - კონსერვატორები“ -ს თავმჯდომარე,

პაატა გოგოლაძე - საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე

თორნიკე ავალიშვილი- საკრებულოს ფრაქცია „ძალა ერთობაშია“-ს თავმჯდომარე,

ინგა მაღრაძე - საკრებულოს ფრაქცია „თვითმმართველობა ხალხისათვის“ თავმჯდომარე,

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქეთევან ზუმბაძე -საკრებულოს ფრაქცია „ძალა ერთობაშია“-ს თავმჯდომარის მოადგილე,

შალვა ლურსმანაშვილი - საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე

მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები:

მაია ალავიძე- მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის განყოფილების უფროსი,

ნანა კიკნაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი,

კახაბერ გოლუბიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

საკრებულოს აპარატი:

ლ. კალანდაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზ. ორბელაძე საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

ნინო თხელიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგ

საკითხებში,

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

თ. მაღრაძე - ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის“ ჟურნალისტი,

ლ. გოგოლაძე - გაზეთ „ჩემი იმერეთის“ დირექტორი,

თ. ბერიძე მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი.

ლ. ნიქაბაძე - ოპერატორი

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მ. ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და ბიუროს სხდომაზე განსახილველ საკითხთა შემდეგი ნუსხა

დღის წესრიგი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 04 ნოემბრის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

საკითხთა ნუსხა

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

   მომხს:ნანა კიკნაძე

2. მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილ ანგარიშში მერიის სამსახურებისა და ა.ა.(ი)პ-ის საქმიანობის შემოწმებისას გამოვლენილ დარღვევებზე რეაგირების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია

   მომხს: კახაბერ გოლუბიანი

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2017** წლის 3 ივლისის **#50/43** განკარგულებაში „საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

   მომხს: მაია ალავიძე

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2017** წლის 3 ივლისის **#50/44** განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ “ ცვლილების შეტანის თაობაზე

   მომხს: მაია ალავიძე

5 . ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის #50/72 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ბიუროს სხდომის დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 12 წევრი:

მომხრე 12

წინააღმდეგი 0.

მოისმინეს: მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დავის სამსახურის უფროსის ნანა კიკნაძის , ინფორმაცია საკითხზე -ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის თაობაზე

აზრი გამოთქვეს:

მალხაზი ფხალაძემ, რომელმაც მოითხოვა წყალაფორეთში ექიმისა და ექთნის განრიგი იყოს საჯაროდ გამოქვეყნებული, რადგან ყოველ დრე ხალხი ელოდება მათ და არ მოდიან, რომ ეცოდინებათ როდის იქნებიან წყალაფორეთში მივლენ იმ დროს და ასევე წყალაფორეთში ერთი მოქალაქე მურმან კელენჯერიძე არიას უპატრონო და ცხოვრობს ნალიის ქვეშ, გაუსაძლის პირობებში.

ვარლამ ჭიპაშვილმა , რომელმაც ყურადღება გაამახვილა რამდენიმე ძირითად საკითხზე კერძოდ:

- თუ არსებობს მონახაზი 2020 წლის ბიუჯეტში რა თანხა იქნება საჭირო და მიმდინარე მდგომარეობიდან გამომდინარე თუ დააყენებთ თანხის გაზრდის საკითხს,
- თუ არის დათვლილი საახალწლო დახმარების თანხა,
- ბაზალეთის საექიმო ამბულატორია გასარემონტებელია, რას აპირებთ,
- ხომ არ შეისწავლეთ ლაბაძეების ოჯახური პირობები და ხომ არ არის რაიმე გადაწყვეტილება მისი თავშესაფრით უზრუნველყოფისათვის
- და სხვა საკითხები.

ი. მაღრაძემ რომელმაც ყურადღება გაამახვილა რამდენიმე ძირითად საკითხზე კერძოდ:

- სოფლის ამბულატორიების მდგომარეობასთან დაკავშირებით, მოსახლეობა თუ სარგებლობს ამ მომსახურებით,

- დიალეზის პროგრამა კარგია, მაგრამ თანხა არის არასაკმარისი,

- ხომ არ იგეგმება კომუნალური ხარჯების არდა მომავალი წლისათვის,

- რა კონსულტაციები გქონდათ მერთან ლეღვნის სტიქიასთან დაკავშირებით.

თ. ავალიშვილმა აღნიშნა, რომ ექიმებმა, რომ იარონ სამსახურში უნდა გაფორმდეს ხელშეკრულება, მაქვს ინფორმაცია, რომ თეთრაწყაროში მცხოვრებ შავიძეს, რომელიც არის ჩერნობილის კატასტროფის მონაწილე არ მიუღია თანხა, რომელიც იცემა ამ დანიშნულებით და კიდევ არის საშუალება, რომ 84 ათასი ლარით გაიზარდოს სოციალური პროგრამების დაფინანსება და დავეხმაროთ ლეღვანში სტიქიით დაზარალებულებს.

მ. ბარბაქაძემ დასვა საკითხი, რომ გედსამანიის მოსახლეობა ითხოვს ექთანს, იქ არის კადრი და შენობაც შეიძლება გამოინახოს.

გ. თხელიძემ ყურადღება გაამახვილა ზამთრისათვის სოციალურად დაუცველი ოჯახების შეშით უზრუნველყოფის საკითხზე

პ. გოგოლაძემ აღნიშნა, რომ დაბაში სირაძეების სახლს მიწისძვრის შედეგად გამოეცალა საყრდენი და ოჯახი დგას საშიშროების წინაშე.

ნ. კიკნაძემ უპასუხა, დასმულ შეკითხვებს:

მურმან კელენჯერიძე ბაზაში არ იძებნება, მან განცხადებით უნდა მომართოს მერიას და სათანადო საბუთების წარმოდგენის შემდეგ მოხდება მისი საცხოვრებლის მდგომარეობის შესწავლა და დაიგეგმება შემდგომი ღონისძიებები, სოციალური ხარჯები მიმდინარე წელს გაზრდილია 100 000 ლარით და მომავალ ბიუჯეტში ზრდას აღარ ვითვალისწინებთ, საახალწლო დახმარებებთან დაკავშირებით პასუხი მექნება ნოემბრის თვეში, ბაზალეთის ამბულატორიის რემონტი დაიგეგმება 2020 წელს, ლაბაძეების საკითხი უნდა დავაყენოთ დეპარტამენტის წინაშე, არამიზნობრივად მიმაჩნია ერთჯერადი დახმარება, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც ეს ერთჯერადი დახმარებაც მოქალაქისათვის არის მნიშვნელოვანი. რაც შეეხება ლეღვნის სტიქიას ეს ჩემს კომპეტენციას სცილდება ამისათვის მერიაში შექმნილია სტიქიის კომისია და იქ ხდება გადაწყვეტილების მიღება. ჩერნობილის მონაწილის საკით ხს გავარკვევ და პირადად მოგახსენებთ მე ვფიქრობ, რომ თანხა ამ კატეგორიის მოქალაქეებს ყოველწლიურად ერიცხებათ და გავარკვევ რა მოხდა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2019 წლის 04 ნოემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 12 წევრი:

მომხრე 12

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2019 წლის 04 ნოემბრის სხდომის დღის წესრიგში.

2. საკითხის განხილვა კომისიის სხდომაზე დაევალა ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის და საფინანსო - საბიუჯეტო კომიისის თავმჯდომარეებს (გივი თხელიძე, ვარლამ ჭიპაშვილი).

მოისმინეს: მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის კ. გოლუბიანის ინფორმაცია საკითხზე -მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილ ანგარიშში მერიის სამსახურებისა და ა.ა.(ი)პ-ის საქმიანობის შემოწმებისას გამოვლენილ დარღვევებზე რეაგირების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია

საკითხთან დაკავშირებით ბიუროს წევრთა მიერ აღინიშნა, რომ ინფორმაცია წარმოდგენილია ზერელედ, არ ასახავს შესასწავლი საკითხის სრულ ანალიზს თუ რა ღონისძიებები იქნა გატარებული მერის მიერ ცალკეული სამსახურების მიმართ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად და დაევალა მას საკრებულოს სხდომისთვის წარმოადგინოს სრულყოფილი ინფორმაცია.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2019 წლის 04 ნოემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 12 წევრი:

მომხრე 12

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2019 წლის 04 ნოემბრის სხდომის დღის წესრიგში.

2. საკითხის განხილვა კომისიის სხდომაზე დაევალა იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს (ოთარ ლურსმანაშვილი).

მოისმინეს: მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და ქონების მართვის სამსახურის განყოფილების უფროსის, მ. ალავიძის ინფორმაცია საკითხზე -ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2017** წლის 3 ივლისის **#50/43** განკარგულებაში „საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

აზრი არ გამოთქვეს:

მ. ფხალაძემ, რომელმაც მოითხოვა საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაში შესატან ვარძიის მიწასთან დაკავშირებით შეისწავლონ მოსახლეობის აზრი და წარმოადგინოს საკრებულოს კომისიის სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2019 წლის 04 ნოემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 12 წევრი:

მომხრე 12

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2019 წლის 04 ნოემბრის სხდომის დღის წესრიგში.

2. საკითხის განხილვა კომისიის სხდომაზე დაევალა ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (მალხაზ ფხალაძე).

მოისმინეს: მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და ქონების მართვის სამსახურის განყოფილების უფროსის, მ. ალავიძის ინფორმაცია საკითხზე -ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2017** წლის 3 ივლისის **#50/44** განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ “ ცვლილების შეტანის თაობაზე

საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2019 წლის 04 ნოემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 12 წევრი:

მომხრე 12

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2019 წლის 04 ნოემბრის სხდომის დღის წესრიგში.

2. საკითხის განხილვა კომისიის სხდომაზე დაევალა ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (მალხაზ ფხალაძე).

მოისმინეს: მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისის თავმჯდომარის ოთარ ლურსმანაშვილის ინფორმაცია საკითხზე -ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის #50/72 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2019 წლის 04 ნოემბრის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით.

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 12 წევრი:

მომხრე 12

წინააღმდეგი 0.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2019 წლის 04 ნოემბრის სხდომის დღის წესრიგში.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 04 ნოემბრის სხდომის დღის წესრიგი.(თან ერთვის)

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 04 ნოემბრის სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხს: ნანა კიკნაძე

2. მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარმოდგენილ ანგარიშში მერიის სამსახურებისა და ა.ა.(ი)პ-ის საქმიანობის შემოწმებისას გამოვლენილ დარღვევებზე რეაგირების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია

მომხს:კახაბერ გოლუბიანი

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 ივლისის #50/43 განკარგულებაში „საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: მაია ალავიძე

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 ივლისის #50/44 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა გეგმის დამტკიცების შესახებ “ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: მაია ალავიძე

5 . ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 ნოემბრის #50/72 განკარგულებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ოთარ ლურსმანაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე